



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ოპ1. 3122329001

თარიღი:25/11/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ოქმი N16

ქ. ლანჩხუთი

18. 11. 2022 წელი.
12:00 სთ.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვიციანი და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ გუბრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ეკა გუჯაბიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ**. მან განმარტა, რომ 2022 წლის 4 ოქტომბერს და 2022 წლის 27 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს N 5/55066 5/60042 წერილები, რომლებიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების: კერძოდ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ლესის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 59,49 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.10.46.002.01.500); აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე აცანის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 56,45 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.02.44.003.01.501); შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შუხუთის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 46,15 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.05.46.002.01.500); ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩოჩხათის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საერთო ფართი 42,92 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.13.43.001.01.500 და 27.13.43.001.01.501); გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გვიმბალაურის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 70,56 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.08.46.002.01.500); ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩიბათის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 159,66 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.09.46.013.01.500); ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვიანში მდებარე ამბულატორია 74,28 კვ. მეტრი ფართი (27.04.50.282.01.501); ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჩოლობარგში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.04.49.794); ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ღრმაღელეში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.16.46.485); ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ეწერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.11.47.230); ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ნიგვზიანში მდებარე 1222.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 104,48 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.14.48.008), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას, რათა შემდგომ მიზნად შემოთავსებული უძრავი ქონებების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო კოლეჯის“-სთვის გადაცემა სიმბოლურ 1 (ერთი) ლარად, სადაც მოხდება „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 108 -ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე იმავე კოდექსის 121-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ასევე შემოთავსებული წერილში სახელმწიფოსათვის გადასაცემად მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მამათის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 78,80 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.01.42.015.01.503) რომელიც წარმოადგენს ძირითად (გაუსხვისებელ) ქონებას. რეალურად კი აღნიშნულ ფართში ფუნქციონირებს ამბულატორია და ის არ გამოიყენება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ფუნქციების და უფლებამოსილების განხორციელებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა შემოთავსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები სახელმწიფოს გადაცეს საკუთრებაში მამათის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 78,80 კვ.მ. ფართის (ს/კ 27.01.42.015.01.503) ჩათვლით, ფუნქციური დანიშნულების დაკარგვის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში მითითებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი. მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N59(18.11.2022).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 37 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა 1/5 და ფრაქციებს და მოუწოდა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა **ალექსანდრე მახათაძის** კანდიდატურა და განმარტა, რომ აღნიშნულ კანდიდატურას მხარს უჭერს ათი საკრებულოს წევრი, ესენია: ზაზა წულაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ია მოქია, კარლო კვიციანიშვილი, ლოლიტა ურუშაძე, ნინო მშვიდლობაძე, ვერიკო კვიციანი, გიორგი ჩახვაძე, კარლო წილოსანი და დარეჯან ბურჭულაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის შესაბამისად, არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით და მიმართა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს, რომ უხელმძღვანელოს არჩევნების ჩატარების ტექნიკურ მხარეს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია შეასრულებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცედურას.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, თუ რა მიზნით მიიღო პარტიის შემადგენლობის დატოვების და საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალაში“ გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება ალექსანდრე მახათაძემ.

საკრებულოს წევრმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ გაუღებელი იდეები და განცხადებები. მისთვის მნიშვნელოვანია დასავლეთთან, კერძოდ ევროკავშირთან და ჩვენს ძირითად სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-სთან თანასწორუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობა და არა ვასალური დამოკიდებულება, რომელსაც გარკვეული დოზით მოითხოვს ცალკეული, რადიკალურ ოპოზიციასთან მეგობრობაში მყოფი ევროპარლამენტარები და პოლიტიკოსები.

საკრებულოს სხდომა დატოვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ**.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 18 საკრებულოს წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს **კახაბერ ასკურავას**.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეაჯამა ფარული კენჭისყრის შედეგები და საკრებულოს წევრი, **ალექსანდრე მახათაძე (17 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი)** არჩეულ იქნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

მიღებულ იქნა განკარგულება N60(18.11.22)

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** და საკრებულოს წევრებმა ალექსანდრე მახათაძეს მიულოცეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევა და უსურვეს შემდგომი წარმატებები.

ახლადარჩეულმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** მადლობა მოახსენა საკრებულოს თავმჯდომარეს, ბესიკ ტაბიძეს და კოლეგებს

გამოჩენილი ნდობისთვის. შემდეგ აღნიშნა, რომ მთელ თავის გამოცდილებას და ძალ -
ღონეს არ დაიშურებს საქმიანობისას და აქტიურად გააგრძელებს მუშაობას.

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

18 ნოემბერი 2022 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:08	
2	ემზარ თევდორაძე	12:00	
3	ვერიკო კვიციანი	11:58	
4	გიორგი ჩახვაძე	11:00	
5	გიორგი ხელაძე	11:55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:00	
7	ზაზა წულაძე	11:00	
8	კარლო კვიციანი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:00	
10	ია მოქია	12:00	
11	კახაბერ ასკურავა	12:00	
12	მაკა მშვიდლობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
14	კარლო წილოსანი	11:58	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
16	ნინო მშვიდლობაძე	11:51	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	10-53	
19	გიორგი გოგუაძე	10:55	
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩილაძე		
23	კახა თედორაძე	11:55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11:55	მ-მე/მ
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		